ოქმი:**ო63. 6323156001**
თარიღი:**05/06/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ.სამტრედია 30 მაისი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 30 მაისს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნისათვის, ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (11) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

ირაკლი მელაშვილი - კომისიის სხდომაზე მოწვეული გვყავს მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ქალბატონი ნატალია, რომელიც მოგვახსენებს ინფორმაციას ზემოაღნიშნული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ნატალია მანჯგალაძე - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა **402 500 ლარს.**

(კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ასიგნება - **279 400 ლარი**; ახალგაზრდულ

ღონისძიებათა ასიგნება -**33 100 ლარი;** სპორტულ ღონისძიებათა ასიგნება **-90 000**

ლარი;).

2022 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

კულტურა, ძეგლთა დაცვა, ტურიზმი -279 400 ლარი.

ხარჯი-275 988.62 ლარი (1.01.2022-30.06.2022 ხარჯი-9353,82 ლარი, 1.07.2022-31.12.2022 ხარჯი-266 634,8 ლარი)

- „ღამის შოუს“ ბენდის კონცერტი.
- წარმატებული პედაგოგების დაჯილდოვება.
- კვარტეტ „რანინას“ კონცერტი.
- საჩხერის პაოლო იაშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ფუტურო ადამიანები“.
- შპს „სტუდია კავკასიონი“-ს მიერ დოკუმენტური ფილმის გადაღებისა და ეკრანზე გასვლის მომსახურების შესყიდვა .
- პოეტ ნინო უძილაურის მეოთხე კრებულის ,,მე, შენ, ის“ პრეზენტაცია.
- საახალწლო მსვლელობისათვის სანტების ფორმების შეძენა.
- ნაძვის ხის ანთება.
- საახალწლო კონცერტი.
- „თეატრალურის კვარტეტი-“ს კონცერტი.
- ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით 3D ვირტუალური ტურის გადაღების და სერვერზე განთავსების მომსახურება.
- სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დამსახურებული სამტრედიელების

დაჯილდოვება(სიგელები-195.25; სტუმრების გამასპინძლება-4900; ფულადი ჯილდო-8750).

- ყვავილები.
- ტრანსპორტირება.

ახალგაზრდული ღონისძიებების ასიგნება-33 100 ლარი.

ხარჯი-31 914.79 ლარი(1.01.2022-30.06.2022 ხარჯი-17568.82 ლარი, 1.07.2022-31.12.2022 ხარჯი-14345.97ლარი).

- ინტელექტკლუბ „ინტელსტელარი"-ს გუნდის წევრების ფულადი ჯილდო.
- გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოვება წიგნებით.
- 3 დეკემბერი შშმ პირთა საერთაშორისო დღე, დღის ცენტრის „ლამპარი" ბენეფიციართათვის ანიმაციური პერსონაჟების მოწვევა და საჩუქრების შეძენა.
- #1 საჯარო სკოლის დოკუმენტური ფილმების კინოკლუბის CineDOC-ის ხელმძღვანელის ეკატერინე შვანგირაძის წახალისება, ფულადი ჯილდო.
- ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოვება.
- ტრანსპორტირება.

სპორტული ღონისძიებების ასიგნება- 90 000 ლარი.

ხარჯი-89 221.10 ლარი(1.01.2022- ხარჯი-14413.60 ლარი, 1.07.2022-31.12.2022 ხარჯი-74807.5 ლარი).

- მუნიციპალიტეტში გამართული სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე გუნდებისათვის სპორტული ფორმების, თასებისა და მედლების შეძენა.
- ი. ქუთათელაძის სახ. ტურნირი მინი ფეხბურთში. გამარჯვებულების ფულადი ჯილდო.
- ავტორბოლაში გამარჯვებულთა დაჯილდოვება.
- ა. ქუთათელაძის სახ. მემორიალი კალათბურთში 3x3.
- სამტრედიის გრან-პრი ცხენოსნობაში, გამარჯვებულთა დაჯილდოვება.
- სევერიან თევზაძის სახ. საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებულთა დაფინანსება ლარი.
- სამოყვარულო ფეხბურთის „მასტერ ლიგის" იმერეთის რეგიონალურ თამაშებში გამარჯვებული იანეთის გუნდის ფულადი ჯილდო.
- უმაღლესი ლიგის მონაწილე სამტრედიის მამაკაცთა ფრენბურთელთა გუნდის ორი წევრისა და მწვრთნელის დაჯილდოება ფულადი ჯილდოთი.
- ფეინთბოლში გამარჯვებული გუნდის დაჯილდოება.
- ანზორ მაჩიტიძის სახელობის ტრადიციული მე-6 საჭადრაკო მემორიალი.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტში რაგბის ფესტივალ „სამტრედია-2022" მონაწილეებისათვის 50 ცალი სიგელის შეძენა.
- ვაჟა ტერელაძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში , ფულადი ჯილდო-
- ნიკოლობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ დოღში გამარჯვებულთა დაჯილდოება.
- მ. ქისმარიასა და ვ. ხელისუფალის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში
- 2022 წლის წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება.
- ტრანსპორტირება

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა **270 000 ლარს.**

(კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ასიგნება - **145 000 ლარი**; ახალგაზრდულ

ღონისძიებათა ასიგნება -**43 000 ლარი;** სპორტულ ღონისძიებათა ასიგნება **-82 000ლარ**ი).

2023 წლის 1 იანვრიდან აპრილის ჩათვლით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ნ. ნიკოლაძის მუზეუმისათვის შეძენილი იქნა ვირტუალური გიდის მომსახურება.
- ჩატარდა საშობაო კონცერტი.
- შეძენილი იქნა ხელნაკეთი სუვენირები წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ვიზიტორი სტუმრებისათვის, ასევე გასვლითი ვიზიტებისათვის.
- ჩატარდა ნატო გელაშვილის სარვამარტო კონცერტი.
- მოეწყო სამტრედიაში მოღვაწე ხელოვანი ქალბატონების ნამუშევრების გამოფენა- გაყიდვა. ღონისძიებაში მონაწილე ქალბატონებს გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები, ფულადი ჯილდო და ყვავილები.

- საქართველოს მუსიკოსთა კავშირის მიერ ჩეხეთში კონკურსში მონაწილეობისათვის შერჩეული ‘რონდო-კლასიკის“ კონკურსის გამარჯვებული სამტრედიელ ნინო არველაძეს გადაეცა ფულადი ჯილდო.
- სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეთათვის შეძენილი იქნა სპორტული ფორმები.
- ჩატარდა რეზო შანიძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით და ფულადი პრიზით.
- სამტრედიის ინტელექტუალური კლუბის ინტელსტელარის წევრები 2022 წელს მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზით.
- წლის მანძილზე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისათვის შეძენილი იქნა თასები და მედლები.
- განხორციელდა სკოლის ოლიმპიადაში მონაწილე გუნდების ტრანსპორტირება და კვებით უზრუნველოფა.
- დაფინანსდა მელაურის საფეხბურთო გუნდი , რომელიც მონაწილეობას მიიღებს 7x7 ფეხბურთის დასავლეთ საქართველოს ტურნირში.
- ილია შენგელიას გაეწია ფინანსური დახმარება, რომელიც სწავლას განაგრძობს გერმანიაში.
- ჩატარდა ქორეოგრაფ მერაბ პაქსაშვილის ხსოვნის საღამო .

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, 2022-2023 წლების მოცემულ პერიოდში პარალელურ რეჟიმში სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამინისტროების, გუბერნიისა და მოქალაქეების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მიწოდება, როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული ფორმით. ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა შესაბამისი სამინისტროების, საპარლამენტო კომისიების მიერ მოწყობილ ონლაინ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და აზრი გამოთქვეს.

ნუგზარ ჯამბურია - მადლობა მინდა გითხრათ თქვენ და მთელს კოლექტივს შემართებისთვის, ამომწურავი ანგარიშის წარდგენისა და მუშაობისათვის.

ირაკლი მელაშვილი - მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ გაწეული საქმიანობისთვის და ორგანიზებულობისთვის, ყოველი კულტურული თუ სპორტული ღონისძიებისას.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნისათვის, ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭებას.

ირაკლი მელაშვილი - გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიიდან მივიღეთ თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედანს, მიენიჭოს ნიკო ნიკოლაძის სახელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭებას.

ირაკლი მელაშვილი - გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიიდან მივიღეთ თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, მიენიჭოს რევაზ სალაყაიას სახელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი